დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოსი ევგენი ხარაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) აკადემიკოსი ევგენი ხარაძის სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ფიზიკის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, უნივერსიტეტის სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა კალენდარული სასწავლო სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, ბაკალავრიატის ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდქალაქში მობინადრე ორ სტუდენტზე.

2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.

2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3. აკადემიური მოსწრების მაქსიმალური შეფასების მქონე კანდიდატების გამოვლენის შემთხვევაში, კონკურსი დასრულებულად ცხადდება.

4. ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიატის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სემესტრში გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).
ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.

6. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

7. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

8. სტიპენდია გაიცემა წლის მანძილზე 6 თვის განმავლობაში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ალექსანდრე თევზაძის ხელფასიდან - ხელფასის ნახევრის ოდენობით თითოეულ სტუდენტზე.